

თბილისი

№457/03

17 სექტემბერი 2013 წ.

“განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა-ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების” “საერთაშორისო ოლიმპიადის ქვეპროგრამით” ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აბიტურიენტთა პირობით ჩარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის “განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა-ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების” “საერთაშორისო ოლიმპიადის ქვეპროგრამით” გათვალისწინებული 2013 წელს ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიისა და ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილე აბიტურიენტების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის ან დიპლომირებული სპეციალისტის აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ” 2013 წლის 29 მაისის №221 ბრძანების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პირობით ჩარიცხონ შემდეგი აბიტურიენტები:

- ა. ბაწაშვილი ცისია
- ბ. გვაზავა ნანული

2. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება დაეგზავნოს: ვიცე-რექტორს (დ. ჭავჭავანიძე), სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს (რ. რუხაძე), მედიცინის ფაკულტეტის დეკანს (თ. ჩიქოვანი), ფინანსური მართვის და აღრიცხვა-ანგარიშების დეპარტამენტს.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია
რექტორი